ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2022 წლის 28 ოქტომბერი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №35 დადგენილებაში ,,ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ნოემბრის №35 დადგენილებაში ,,ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge. 22/11/2017 010260000.35.144.016303) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლიდან ამოღებულ იქნას ,,ლ, ,,მ“, ,,ნ“, ,,ო“ ,,პ“ პუნქტები;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერ შუბითიძე**